საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/15

ქ.თბილისი

„21" სექტემბერი 2018 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - „კომისია") ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების აღრიცხვისა და ანგარიშგების შემდგომი მოწესრიგების მიზნით, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს კომისიის ბალანსზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობებზე პასიხისმგებელ პირთა შემდეგი შემადგენლობა:

ა) იოსებ ხარებავა - კომისიის ადმინისტრაციის უფროსი;

ბ) ივანე მახარაძე - კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

გ) სერგო შავგულიძე - კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროსი;

დ) პავლე ბერია - კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მ.შ.;

ე) დავით გოგიჩაიშვილი - კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

ვ) მაია ქადეიშვილი - კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი;

ზ) ქეთევან რეხვიაშვილი - კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

თ) მიხეილ ჯღამაძე - კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

ი) ლანა ბერიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

კ) ალექსანდრე ღლონტი - კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;

ლ) თამარ ბოკუჩავა - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

მ) ოლია ვოტ - ხარისხის მართვისა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;

ნ) ნათია დევდარიანი - კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ო) მარიამ სულაბერიძე - კომისიის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი;

პ) თამთა ტეფნაძე - მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის უფროსი.

2. კომისიის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ჩატარდეს 2018 წლის 24 სექტემბრიდან, 2018 წლის 22 ოქტომბრამდე;

3. შეიქმნას საინვენტარიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ვახტანგ აბაშიძე - კომისიის წევრი (კომისიის თავმჯდომარე);
ბ) ნოდარ ასპანიძე - კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის უფროსი (კომისიის წევრი);
გ) ალექსანდრე ღლონტი - კომისიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
დ) რევაზ მორგოშია - კომისიის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი (კომისიის წევრი);
ე) პავლე ანთელავა - კომისიის ადმინისტრაციის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის ჯგუფის სპეციალისტი (კომისიის წევრი);
ვ) ნარგიზა ლომთაძე - კომისიის ადმინისტრაციის არასაშტატო სპეციალისტი (კომისიის წევრი);
ზ) ნატალია ჯანელიძე - კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (კომისიის წევრი);
თ) მაია ნინუა - კომისიის ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმისწარმოების ჯგუფის საკანცელარიო საქმისწარმოების წამყვანი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

4. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ნ. დევდარიანი) განახორციელოს ფაქტიური ინვენტარიზაციის შედეგების შედარება საბუღალტრო მონაცემებთან 2018 წლის 19 ნოემბრამდე;

5. კომისიის მიერ ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგების გაფორმება მოხდეს 2018 წლის 10 დეკემბრამდე.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 17 იანვრის N6/3 ბრძანება.

7. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში.

9. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე **კახი ბექაური**